საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლეკური

ლეკური, „უვადო ხმალი“ (საბა), რომელსაც ტარზე „ხრმლის ჯვარედი“ არ ჰქონდა (ამ ჯვარედს არც წარმომავლობით და არც დანიშნულებით ჯვრის გამოსახულებასთან საერთო არ აქვს). ლ-ს ამზადებდნენ უმთავრესად ლეკი მეიარაღე-ხელოსნები. ხმლის სხვა ცნობილ სახეობებთან ერთად ლ. გავრცელებული იყო მეტწილად ჩრდ. კავკასიაში, ნაწილობრივ – საქართველოში (იმერეთი). უვადო ხმალი, როგოც მკვეთელი იარაღი, საბრძოლო მახასიათებლებით ვადიან ხმალზე ნაკლებად ფასობდა.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, [ტ.] 3–4 , თბ., 1962.

კ. ჩოლოყაშვილი